სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ბოლნისის „ყოჩები“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	დუბლიორთა ლიგა
მატჩის თარიღი	10/10/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ირაკლი მასხარაშვილი		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	საბა მახარაძე - მატჩის მსაჯი.	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;	☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	12/10/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის , საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელმა, ირაკლი მასხარაშვილმა აღიარა მსაჯთან სათამაშო მომენტის ხმამაღალი გაპროტესტების ფაქტი. ირაკლი მასხარაშვილის განცხადებით, მსაჯის (მისი აზრით) არასწორი გადაწყვეტილება მის გუნდს წაგების ფასად დაუჯდა. სწორედ ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა მან ხმამაღლა ძლიერი ემოციური აღელვების გამო. ირაკლი მასხარაშვილმა წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 10/10/2023 გაიმართა დუბლიორთა ლიგის III ტურის მატჩი ბოლნისის „ყოჩები“-სა და თბ „ხვამლს“ შორის;
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის მე-15 წუთზე "ხვამლის" მწვრთნელი ირაკლი მასხარაშვილი არ ეთანხმებოდა ჩემს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც გამოხატავდა ემოციური და აგრესიული საუბრით, რაზეც მოვუწოდე, რომ დამშვიდებულიყო. გაგრძელდა იგივე და ვუთხარი მოედანი დაეტოვებინა, ისევ აგრესიული ფორმა ჰქონდა საუბარს და არ ტოვებდა მოედანს, რის გამოც ვუჩვენე წითელი ბარათი. მოედნის დატოვების შემდეგ, ჯარიმის დარტყმის დროს, იდგა კარის ზღურბლზე და მოვუწოდე, რომ მოედნის ფარგლების გარეთ გასულიყო, რაზეც მიპასუხა "შენც ხო გამოხვალ გარეთ". თამაშის შემდეგ განვიხილეთ მომენტი, ავუხსენი ჩემი პოზიცია და სხვა გართულება აღარ მოჰყოლია.“*

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ განიხილა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობები და „ხვამლი“-ს მწვრთნელის, ირაკლი მასხარაშვილის განცხადება დარღვევასთან დაკავშირებით, იმსჯელა ინციდენტის შესახებ და დადგენილად ცნო ირაკლი მასხარაშვილის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის (ქცევის კოდექსი) 8.6 პუნქტის დარღვევა.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	4 (ოთხი) თამაში. **2(ორი)** თამაში **დაუყოვნებლივი** დისკვალიფიკაცია. **2(ორი)** თამაში **პირობითი** დისკვალიფიკაცია 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე.	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	13/10/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	დაუყოვნებელი დისკვალიფიკაციის (2 თამაში) დამთავრების თარიღი 21/10/2023 პირობითი დისკვალიფიკაციის (2 თამაში) ვადა 2023-2024 სათამაშო სეზონის დასრულებამდე.	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 ბ) პუნქტი**	არა	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში. **პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდში პიროვნების მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული თამაშები.**	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	13/10/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**